ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 1818 | შაბათი, 25 მაისი | 1896—1902 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 1818

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პერდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ..ს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

მაღაზია

ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა

ქ. ქუთაისში

გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ **ქუთაისის და ქუთაისის ახლო-მახლო სოფლების საზოგადოებას,** რომ ჩვენს მაღაზიაში გვაქვს მუდამ მრავალ-გვარი **ფარფორის და ფაიანსის საქონელი** სხვა-და-სხვა ხრუსტალის და შუშეულების ნაწარმოები, ვარშავისა და საზღვარ-გარეთელი ლამპები. საზღვარ-გარეთელი რკინეული საელემენტო ჭურჭლეულობა უმაღლესი ხარისხისა. სპილენძის ჭურჭლეულობა, სამოვრები და ყოველ-გვარი საოჯახო კუთვნილებანი. მელხიორის და ბრიჯაოს ნაწარმოებნი. ვენის გაღუნული ბამბუკის სახლის ავეჯეულება. ინგლისური და ვარშავის კრაოტები და მატრაცები. სხვა-და-სხვა კედლის და სატუალეტო სარკეები. კლიონკები და ლინოლეუმები პოლისთვის. რუსული და სალვარ-გარეთელი გიტარები, სკრიპკები და სტრუნები ყოველ-გვარი. საეკკლესიო კუთვნილებანი.

ყველაფერი ისყიდება **ზომიერ ფასად და უვაჭროდ.** (45—29)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

პ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საა თ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. ვოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.-

ტელეფონი № 274. (წლ.)

1902 წ. მაისის 26 დღეს

სათავად-აზნაურო ბანკის ბაღში

გაიმართება

სეირნობა

საქველმოქმედო ბაზრით

ქართველთა შორის

წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგადოების ღონისძიებათა გასაძლიერებლად.

ბაზარი დაიწყება ნაშუადღევის 3 საათიდან საღამოს 10 საათამდე. იქნება აგრეთვე **ცეკვა** ქართულ-ევროპიული, საყმაწვილო გასართობი და სიურპრიზი.

ბაღში იქნება მუსიკა ორ გუნდად და ზურნა.

შემოწირულება უნდა გაეგზავნოს კნეინა ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას (ნიკოლოოზის ქუჩა სახლი № 21).

სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრით თუ ავდარი იქმნა, გადაიდება ივნისის 2 დღისათვის. (უ. 5—4)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე-ე მიიღებს აგრეთვე საქმეო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ბებია

ვ. მ. ლიმონა

ცხოვრობს სუდებნის ქუჩაზე, სახლი მირზოევისა, № 34, სადგომი თ. ანდრონიკაშვილისა, საოლქო სასამართლოს რიგზე. (0—8)

კავკასიელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება მოხდება 28 მაისს, საღამოს 8 საათზე არტისტიულ საზოგადოების შენობაში. წესდების მე-8 მუხლის ძალით საზოგადო კრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმათ, ვისაც საწევრო ფული აქვთ გადახდილი, ამიტომ გამგეობა სთხოვს წევრებს შემოიტანონ ეს გადასახადი. (უ. 3—1)

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. ვალდეკ-რუსსოს პატივსაცემლად რესპუბლიკის პრეზიდენტმა პირველ მაისს სადილი გამართა, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ ყველა მინისტრები. ეს იყო გამოთხოვება აწინდელ სამინისტროსთან; მინისტრთა კრება, რომელიც მეორე დღეს მოხდა ვალდეკ-რუსსოს თავმჯდომარეობით, ელისეს სასახლის მაგიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს სადგომში იყო. ამ კრებაზე საბოლოვოდ გადასწყდა კაბინეტის გადადგომა; სამინისტრო მხოლოდ განაგებს მიმდინარე საქმეებს, ვიდრე ახალი კაბინეტი შესდგებოდეს. მაგრამ მინისტრები თვის გადაწყვეტილებას მხოლოდ ორშაბათს აცნობებენ ოფიციალურად რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომ მას შეძლება მისცენ კვირას მონტელიმარში წავიდეს დედის სანახავად. ამ ხანში პალატა ისარგებლებს თავმჯდომარის არჩევნებისათვის, რომ გამოარკვიოს და თავი მოუყაროს წევრების უმეტესობას და რესპუბლიკისპრეზიდენტი ამავე დროს შეუდგება ახალი კაბინეტის შედგენის შესახებ მოლაპარაკებას მანამ კი ვალდეკ-რუსსოს კაბინეტს მხოლოდ მორიგ საქმეების შესახებ ექნება პარლამენტთან ურთი-ერთობა. ახალი კაბინეტის ხასიათი ბევრად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ვის აირჩევენ პალატის თავმჯდომარედ.

როგორც „ფრანკფ. ცეიტუნგ“-ის პარიზელი კორესპონდენტი ამბობს, რადიკალ-სოციალისტები და სოციალისტები მომხრენი არიან ბრისსონის კანდიდატობისა, როგორც პალატის თავჯდომარისა ღ იმის, რომ სამინისტროს მოთავეობა ბურჟუამ იკისროს. რადიკალებმა შემდეგი კომბინაცია წამოაყენეს: სენატორი კომბი მინისტრ-პრეზიდენტი და იმავე დროს განათლების მინისტრი, ბრისსონი—იუსტიციისა, დელკასსე—გარეშე საქმეთა, გენერალი ანდრე—სამხედრო, პელტანი—საზღვაო და საზოგადო სამუშაოთა, სენატორი ვალლე—შინაგან საქმეთა, ბურჟუა—პალატის თავმჯდომარე. დარწმუნებით ამბობენ, რომ როდესაც სამინისტროს გადადგომა გამოცხადდება, ლუბე მოიწოდებს დელკასსეს და მისცემს წინადადებას კაბინეტი შეადგინეო. დელკასსე უარს განაცხადებს, მაგრამ მისი ახალ კაბინეტში შესვლა კი უზრუნველ-ყოფილი იქნებაო.

✡ პარლამენტის წრეებში შესაძლებლად მიაჩნიად რადიკალების და რადიკალ-სოციალისტების ერთ საპარლამენტო ჯგუფად შეერთება; მაშინ მთელი დასი 140 წევრს შეიცავს; ამ დასში სოციალისტები არ შევლენ.

ინგლისი. ირლანდიელებს აზრადა აქვთ განაცხადონ პალატაში, რომ ბურების დამოუკიდებლობის წართმევა დარღვევა იქნება სამართლიანობისა და პატიოსნების ყოველი კანონისა და სრულიად ეწინააღმდეგება მას, რასაც სამინისტრო აცხადებდა ომის დასაწყისშიო. ამას გარდა, ირლანდიელები აპირებენ განაცხადონ, რომ თუ ბურებს თავისუფლება წაართვეს, ჩვენ მათ წავაქეზებთ, რომ თავი დაიხსნან ბრიტანიის მონობისაგანო. ლიბერალური ოპპოზიცია ყოველ ღონეს ხმარობს დააჯეროს ირლანდიელები, ხელი აიღონ ამ განზრახვაზე, მაგრამ დღემდე მათი ცდა უნაყოფოდ რჩება. ზოგიერთი უკიდურესი რადიკალები იწონებენ ირლანდიელების პლანებს.

ჩინეთი. სამხრეთ ჩინეთში ამბოხება დღითი-დღე ძლიერდება. ამბოხების მეთაურია ხუნ-ლინი, ძმისწული 1850 წ. ტაიპინის აჯანყების მეთაურისა, რომელიც თავის თავს „ზეცის მთავრად“ უწოდებდა. ხუნს მდივნად ჰყავს გე, მეტად ჭკვიანი ადამიანი, რომელიც კარგად იცნობს აქაურ ადგილებს და რომელსაც ხალხის დიდი სიყვარული აქვს მოპოვებული. ახალის ამბოხების საგანია—დამოუკიდებელ, თავისუფალ სახელმწიფოს დაარსება. მეამბოხეთ რამდენიმე შეტაკება ჰქონდათ მთავრობის ჯარებთან და გაიმარჯვეს. მაგალითად, დიან-ბაის მაზრაში, ფანჩენის დაბასთან სრულიად დამარცხებული იქმნა გენერალ მას რაზმი, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა ამბოხების მოსპობა. მა უკან გამობრუნდა და მოელის შველას გენერალ სუსგან, მაგრამ ამ უკანასკნელს არ შეუძლიან ადგილიდან დაიძრას, რადგან ყველა გზა მეამბოხეთა ხელშია. ორივე გენერალი კანტონის ვიცე-მეფეს სთხოვენ ჩრდილოეთიდან გამოიწვიოს ჯარები, რადგან მარტო მათ არ შეუძლიანთ მეამბოხეების დამარცხება. მაგრამ ახალის ჯარების მოწვევა შესაძლებელია მხოლოდ ერთის

ფელეტონი

პური თუ სკოლა

ამ სათაურით „Русская школа“-ს უკანასკნელ წიგნში მოყვანილია რუსულ პედაგოგიურ ლიტერატურაში კარგად ცნობილის ვ. კაპტერევის წერილი, რომლის შინაარსი გვსურს გავაცნოთ ქართველ მკითხველებს, თუმცა ზოგიერთ მოსაზრებაში ვერ ვეთანხმებით პატივცემულ პედაგოგმწერალს.

რუსეთის ხალხის ცხოვრებაშიო, ამბობს ვ. კაპტერევი, ნათლად გამოირკვა ორი ფაქტი: შიმშილი **ფიზიკური** და შიმშილი **სულიერი,** ეკონომიურ მოუწყობლობისაგან წარმოშობილი.

ამ არა სასურველ მოვლენის შესამცირებლად შიმშილს სახელად დაარქვეს მოუსავლიანობა ანუ პურის რაოდენობის სიმცირე. ამით საქმეს არაფერი შველა არ ეძლევა და ხალხი მაინც მშიერი რჩება. კარგს მოსავალშიაც ნუ გგონიათ ხალხი მაძღარი იყვეს: ყოველ წლივ აუარებელი პური საზღვარგარეთ მიდის იმიტომ კი არა, რომ გაზიდული პური ადგილობრივ საჭიროებას აღემატებოდეს, არამედ იმიტომ, რომ ხელმოკლეობის გამო ხალხი იძულებულია ჰყიდოს თავისი ჭირნახული—ეს ერთად ერთი წყარო მისი ცხოვრებისა—სახელმწიფო და სხვა ხარჯების გასასტუმრებლად, რომელიც მას მძიმე საპალნედ აწევს კისერზე. ამიტომ მოსავლიან წლებშიაც არა ნაკლებ გაჭირვებას გრძნობს იგი უპურობისაგან. გარდა პურის სიმცირისა, სხვა რამ საკვებავიც მას ძალიან მცირედ მოეპოვება. საზოგადოდ, ხალხის გამოკვება, როგორც რაოდენობით, აგრეთვე ავ-კარგიანობით, ფრიად დაშორებულია სხეულის ნამდვილ საჭიროებაზე: ხალხი იძულებულია ძალიან ზომიერად, დაზოგვით მოიხმაროს თავისთვის დატოვებული ჭირნახული, რომ წლის დამლევს ხახამშრალი არ დარჩეს, ვიმეორებთ, ეს იმ დროს, როდესაც აუარებელი პური საზღვარ-გარედ მიდის.

ამას დაუმატეთ სხვა შემავიწროებელი გარემოება—დაბალი ვიწრო ქოხი, სადაც ადამიანთან ერთად სუსხიან. ზამთარში შინაური ცხოველებიც იმყოფებიან, სხვა-და-სხვა გადამდები სენი, სიფილისი, ხორველა, მუცელა, ზაფხულის აუტანელი შრომა—და თქვენ ნათლად წარმოგიდგებათ არა სანუგეშო ცხოვრება ხალხისა.

მეორე მხრით, ხალხი არა ნაკლებ იტანჯება სულიერი შიმშილისაგან: მას სწავლა ჰსურს—სკოლების რიცხვი გაცილებით ნაკლებია მოთხოვნილებაზე; რაც არის, ისიც ცუდად მოწყობილი. წავიდა ის დრო, როდესაც ხალხი სკოლას უნდობლად ეკიდებოდა; ახლა თვითონ თხოულობს სწავლას, რადგან აშკარად გრძნობს სულიერს შიმშილს.

აი ამის მაჩვენებელი სტატისტიკა: ცნობილია, რომ სასკოლე ჰასაკის ბავშვები ხალხის საზოგადო რიცხვში 9% შეადგენს, მაშასადამე 127 მილიონ მცხოვრებთა შორის რუსეთში (ფინლიანდიის გარდა) უნდა ითვლებოდეს 11,430,000 მოწაფე, ნამდვილად კი რუსეთის ყველა სახალხო სკოლებში სწავლობს 4 მილიონზე ნაკლები მოწაფე, დანარჩენი 8 მილიონი სკოლის გარეშე რჩება. იკითხავთ [რატომ?—სკოლების რიცხვის სიმცირისა გამო, გიპასუხებენ. ამით აიხსნება, რომ ახლად გახსნილი სკოლა სწრაფად აივსება ხოლმე მოწაფეებით. სკოლების რიცხვის სიმცირე საზოგადო მოვლენათ ჩაითვლება როგორც შორეულ ქვეყნებში, აგრეთვე ცენტრებში: მოსკოვსა და პეტერბურგში ყოველ წლივ ათასობით უარს ეუბნებიან მიღებაზე სწავლის მსურველთ უადგილობის გამო.

იმის გამოსარკვევად, თუ როგორის შეხედულებისაა ხალხი სწავლის საჭიროებაზე, ვიატკის საგუბერნიო ერობა შეეკითხა სახალხო მასწავლებელთ, რომელთაგან მიიღო სულ 1405 პასუხი. ამ რიცხვიდან 87% ანუ 1229 პასუხი ჰმოწმობს ხალხის მიერ სწავლის საჭიროების შეგნებას. „სკოლები ნორმაზე მეტად ივსებიან, იწერებიან მასწავლებელნი: ხშირად იძულებულნი ვართ, ჩვენდა სამწუხაროდ, უარი ვუთხრათ მსურველთ უადგილობის გამო; უწინ ჩვენ დავდიოდით სოფელ-სოფელ მოწაფეების შესაკრებად, ახლა თვითონ დედ-მამა თვალ-ცრემლიანი გვეხვეწება მივიღოთ მათი შვილები“. ხალხი არა კმაყოფილდება წერა-კითხვის ცოდნით, იგი თხოულობს უფრო ფართო ცოდნას, ორკლასიან სკოლების გახსნას...

დანარჩენი პასუხები (13%, ანუ 176) ჰმოწმობენ სწავლის საჭიროების ან მცირე შეგნებას, ან სულ შეუგნებლობას. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამგვარი პასუხები მოსულია იმ რაიონებიდან,

თვის შემდეგ, მანამდის კი აჯანყება ძლიერ გადიდდება და გაფართოვდება. როგორც ამბობენ, ამ მეამბოხეთ შეუერთდნენ „რეფორმატორების“ საზოგადოების წევრები, რომლებსაც მეთაურობს სუნ-ი-სიანი, ეხლა-ხან დაბრუნებული იაპონიიდან. რევოლიუციონერებს უნდათ თავისი ძალები შეაგროვონ კანტონში, მერე აიღონ პეკინი და განდევნონ დღევანდელი დინასტია ჩინეთიდან.

ოსმალეთი. როგორც სოფიის გაზეთს „რეფორმას“ ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდან, სულთანის სასახლეში ახალი შეთქმულობა აღმოუჩენიათ. ზოგიერთა პოლკებში სალდათები უკმაყოფილებას აცხადებენ იმის გამო, რომ გვარდიელებს განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევს სულთანი და სხვა ჯარები კი ყველაფერს მოკლებულნი არიან. სამხედრო სკოლაში ბევრი იუნკერი დააპატიმრეს, რადგან მათ დასწამეს კავშირი ახალგაზდა ოსმალებთან; დაჭერილია აგრეთვე ბევრი უმაღლესის სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობის კაცი. საიდუმლო პოლიცია გაცხარებულად მუშაობს. კონსტანტინეპოლში ოსმალები ყოველ დღე უფრო და უფრო წინააღმდეგნი არიან სულთანისა. მაგრამ ყველაზედ უფრო საყურადღებო ის არის, რომ ოსმალეთის სამღვდელოებაც (სოფტები) წინააღმდეგია სულთანისა. ამბობენ, რომ უკანასკნელ ხანებში ბევრი სოფტი იქმნა გაგზავნილი მცირე აზიაში, ზოგიერთები ზღვაში ჩაჰყარეს. ფულის კრიზისი ნამეტანია. რადგან მცხოვრებლები გაღატაკდნენ, გადასახადს ვერ იხდიან სრულებით.

ახალი ამბავი

✦ ხუთშაბათს, 23 მაისს, კავკასიის მთავარ-მართებელი **თავ. გ. ს. გოლიცინი** მეუღლითურთ ტფილისიდან ბაქო-ბალაჯარის რკინის გზით გაემგზავრა პეტერბურგში. სანამ მთავარ-მართებელი დაბრუნდებოდეს, მის თანამდებობას აღასრულებს მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე.

✦ დღეს, საღამოს 7 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია **„ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების“** წევრთა წლიური კრების გაგრძელება. განსახილველი საგნებია: ანგარიშისა, ხარჯთ-აღრიცხვისა და ორის კერძო მოხსენების განხილვა, არჩევანი გამგეობის ორის წევრისა, ნაცვლად ი. გომართელისა და ა. სარაჯიშვილისა, აგრეთვე სარევიზიო კომისიის ერთის წევრისა, ნაცვლად ნ. გოგიტიძისა; ყველა ამ პირთ თავი და დაანებეს წევრობას; ბოლოს მოხდება საზოგადოების ახალ წევრების არჩევა.

✦ ხვალ, 26 მაისს, სათავად-აზნაურო ბანკის ბაღში გაიმართება **სეირნობა და საქველმოქმედო ბაზარი** „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ღონისძიებათა გასაძლიერებლად. სეირნობის გამგეთ ყოველი ღონე უხმარიათ რაც შეიძლება უკეთესად მოაწყონ საზოგადოების გართობა; იქნება მუსიკის ორი გუნდი, ზურნა; მოწვეულია აგრეთვე გამოჩენილი არტისტი მელინი, რომელიც მთელ პიესებსა და ოპერებს უკრავს უინსტრუმენტოდ (მუცლით მომღერალ-მოლაპარაკე); მოწყობილი იქნება სხვა-და-სხვა სათამაშო-გასართობი ბავშვებისათვის. ბაზრისათვის მრავალი საინტერესო ნივთებია: სხვათა შორის, კარგი შემოწირულებაა მიღებული ქუთაისიდან. დასაწყისი ნაშუადღევის 3 საათზე. თუ ავდარი იქნა, სეირნობა გადაიდება ორშაბათ, 2 ივნისისათვის.

✦ გუშინ, 24 მაისს, კიდევ **არ შესდგა ტფილისის საბჭოს კრება**, რადგანაც ხმოსანთა საკმაო რიცხვი არ დაესწრო.

✦ დღეს, 25 მაისს, დილის 11 საათზედ, საზოგადო კრება ექმნებათ ტფილისის იმ ნაფიც ვექილთა და მათ თანაშემწეთ, რომელნიც რამდენიმე თვის წინად დაარსებულ **კონსულტაციის** წევრებად ითვლებიან. საზოგადო კრება განიხილავს მოხსენებას გამგე კომიტეტისას ტფილისის მესამე განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლესთან კონსულტაციის განყოფილების გახსნისა და კონსულტაციის მოქმედების გაფართოვების შესახებ. დასასრულ უნდა აირჩიონ კომიტეტის წევრთა სამი კანდიდატი.

✦ ქუთაისის გუბერნიის სხვა-და-სხვა ადგილებიდან **ცუდი ამბავი** მოდის სიმინდისა და ღვინის მოსავალზე; ნამეტურ ოზურგეთის მაზრაში სეტყვამ და ქარმა გააფუჭა თურმე ვენახები და ყანები.

✦ როგორც უკვე ვაუწყეთ მკითხველთ, ხორცით სავაჭრო ერთი **საქალაქო დუქანი** სრულიად ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთა მოთხოვნილებას; ამიტომ გამგეობა შეუდგა ზრუნვას ახლო მომავალში კუკიაშიაც გამართოს ამგვარი დუქანი. განსაკუთრებულმა კომისიამ, გამგეობის წევრის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის მეთაურობით, 23 მაისს კიდეც დაათვალიერა პოლიციის მე-9 და 10-ნაწილში ის ადგილები, სადაც უნდა გაიმართოს დუქანი; ყველა დათვალიერებულ ადგილებიდან კომისიას მოსწონებია მიღოვის სახლი ნიკოლოზის მოედანზე.

✦ 5 თუ 6 წლის წინად ტფილისში განზრახვა ჰქონდათ დაეარსებინათ საზოგადოება, რომელსაც საგნად უნდა ჰქონოდა წევრთათვის სახლების აშენების საქმის მოწყობა. მთავრობამ ამხანაგობის წესდება არ დაამტკიცა, რადგანაც ძირითადი თანხა მცირედ იცნო; საზოგადოება დაიშალა და წევრებმაც თავიანთი საწევრო ფულიც გაიტანეს; გაუტანელი დარჩენილა დღევანდლამდე 177 მან.; ამ დღეებში აღნიშნულ საზოგადოების დამფუძნებელთ მოლაპარაკება ექნებათ, თუ რა უყონ ამ ფულს. როგორც გადმოგვცეს, ზოგიერთ მათგანს კეთილი აზრი მოსვლია—ეს ფული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გადასცენ.

✦ **ფოთიდან** დეპეშით გვატყობინებენ: ტფილისის ქართველ არტისტების ამხანაგობის პირველმა წარმოდგენამ ბრწყინვალედ ჩაიარა; დარბაზი სავსე იყო საზოგადოებით, რომელიც დიდის ამბით მიეგება გასტროლიორებს. საზოგადოების თხოვნით მეორე წარმოდგენაც გაიმართება.

✦ დღეს, 25 მაისს, შუადღის 12 საათზე გაიმართება **ქართველ ქალთა სამკერვალოს** და სახელოსნო სკოლის წლიური აქტი. სკოლა მოთავსებულია ბარონის ქუჩაზე, № 12.

✦ ვაჟთა პირველ ტფილისის გიმნაზიის მოწაფენი ამ დღეებში უკვე დაითხოვეს საზაფხულოდ. გიმნაზიის მე-8 კლასის მოწაფეთა გამოსაცდელი ეგზამენები ამ დღეებში დასრულდება.

✦ **ფოთიდან** გვწერენ: 21 მაისს, ნაშუაღამევის ორ საათზე „ნიკოლოზ“ გემის გასტუმრების შემდეგ ნავთსადგურში, როდესაც „როსსიის“ საზღვაოსნო საზოგადოების აგენტი სახლში მიდიოდა, ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი—რიცხვით სამი—გზაში დაუხვდნენ ბ-ნ ნარუშევიჩს და სასიკვდილოდ ჯოხებით თავი გაუტეხეს. საბრალო აგენტს წაართვეს 18 მანეთი ფულად და სხვა ნივთები. 22-ს დილის მატარებლით ბ-ნი ნარუშევიჩი ქუთაისში წაიყვანეს ს. თოფურიას საავადმყოფოში. ბ. ნარუშევიჩი, ტომით პოლიაკი, უწყინარი და პატიოსანი კაცია. ძლიერ უყვარდა ჩვენი ხალხი.

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ **ბაქოს ნავთის მრეწველთა უკანასკნელმა კრებამ** რამდენიმე საყურადღებო შუამდგომლობა აღძრა; სხვათა შორის, მუშათა დაზღვევის შესახებაც. ახლა პეტერბურგის გაზეთები იტყობინებიან, რომ, სამთო საქმეთა საბჭოს წევრის დევის თავმჯდომარეობით, შესდგა განსაკუთრებული კომისია და მან უნდა განიხილოს ყველა ხსენებული შუამდგომლობანი.

✦ ბორჯომის რკინის გზის 24 ვერსზე 23 მაისს კლდე ჩამოწვა. როდესაც გზას ასუფთავებდენ, უცბად მოიგლიჯა ქვა, მუშას გლუმჩაძეს დაეცა და **ხელი მოსწყვიტა**.

✦ კომისია, რომელიც ამიერ-კავკასიის **რკინის გზებს ათვალიერებს**, 23 მაისს ღამით ყარსის გზაზე გაემგზავრა დასათვალიერებლად. კომისია დღეს, 25 მაისს, საღამოს დაბრუნდება ტფილისში.

✦ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ გუშინწინ მიიღო საფრანგეთიდან გამოწერილი 5 ვაგონი **გოგირდი და შაბიამანი**.

✦ ტფილისის მოქალაქეთა სამმართველომ გუშინ, 24 მაისს, წარუდგინა ტფ. გუბერნატორს დასამტკიცებლად **მოქალაქეთა** 16 მაისის **გარდაწყვეტილებანი** სამმართველოს შესანახ ხარჯთ-აღრიცხვისა, მოქალაქეებზე ხარჯის გაწერისა და სხვ. შესახებ.

✦ როგორც გადმოგვცეს, ამ თვის ბოლო რიცხვებში რამდენიმე საქმის განსახილველად სხდომა ექნება ტფილისის **მოქალაქეთა რწმუნებულებს**.

✦ ქუთაისის გუბერნიის ქალაქებში (ბათუმსა, ქუთაისს და სხვაგან) რამდენიმე სისხლის სამართლის საქმის განსახილველად გუშინ წავიდა **ტფილისის სამოსამართლო პალატის** პირველ დეპარტამენტის **სესია**. სესი ქუთაისის გუბერნიაში დაჰყოფს ივნისის პირველ რიცხვებამდე.

✦ განსაკუთრებულ კომისიისაგან შემუშავებული პროექტი ქალაქის მცხოვრებთა **სახლების ახლად დანომვრის შესახებ** ქალაქის გამგეობამ თავის უკანასკნელს სხდომაზე მოიწონა და გადასწყვიტა მოკლე დროში წარუდგინოს იგი განსახილველად ქალაქის საბჭოს.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობას მაისის პირველ რიცხვიდან 15-მდე ქალაქის დასაფასებელ გარდასახადისა **შემოუვიდა** სულ 173,004 მან. 74 კაპ.; ამავე ხნის განმავლობაში გამგეობას შარშან შემოუვიდა 166,474 მან.

✦ მივიღეთ მეექვსე წიგნი რუსულის ჟურნალის „Кавказскій Вѣстникъ“-ისა, რომელშიაც, სხვათა შორის, დაბეჭდილია: ალ. ყაზბეგის „მოძღვარი“ (დასასრული), ა. ყიფშიძის წერილი საქართველოში ბატონყმობისა და საგლეხო რეფორმის შესახებ და სხვა.

✦ ჩვენა გვთხოვენ, ყურადღება მივაქციოთ, ვისიც ჯერ არს **არტილერიის მოედნის** უკიდურესს სანიტარულს მდგომარეობაზე—კუკიაში. რაც საარტილერიო ბრიგადა აგარაკად წავიდა, ეს უპატრონოდ მიგდებული მოედანი რაღაც მყრალსა და გაუვალს ბინძურ ალაგს წარმოადგენს: ტალახ-ნაგავს გარდა, აქა ჰყრიან მკვდარ კატებს და ძაღლის ლეკვებს, დამპალ სანოვაგეს და ყოველ უწმინდურებას. „ნეტავ თუ ვისი საქმეაო,—გვეკითხებიან,—ყურადღება მიაქციონ ამ ალაგის სანიტარულს მდგომარეობასაო“? ჩვენც ასე ვკითხულობთ: ნეტავ თუ ვისი საქმეა?

✦ ქ-ბნი ნინო ჯაფარიძე და ალვასი ბერიძისა გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი ანგარიში: „12 მაისს, ამა წლისას, ოზურგეთში, ბ. ნიკო თაყაიშვილის სახლში გამართული იყო მუსიკალურ-ლიტერატურულ-დრამატიული საღამო. წარმოდგენილ იქმნა ა. ცაგარლის ვოდევილი „ჭკუასა შჭირს“, ბ. წუწუნავას მონაწილეობით; იყო აგრეთვე ქართული ხორო ბ. პლატონ ცქიტიშვილის ლოტბარობით; წაიკითხეს სცენებიდან ლექსები ბბ. ა. წულაძემ კ. ბებურიშვილმა, თავართქილაძემ, ძიძიშვილმა და სკოლის შეგირდებმა.

საღამოს შემოსავალი იყო 129 მანეთი, გასავალი 47 მანეთი. დარჩა 82 მანეთი, რომლიდანაც 41 მანეთი მოხმარდა ოზურგეთის საქალებო ორკლასიან სამრევლო სკოლის ღარიბ მოწაფეებს, და 41 მანეთი გადაეცა ერთ ოზურგეთელ ღარიბ ოჯახს, ობლების სასარგებლოდ.

უგულითადეს მადლობას ვუცხადებთ ყველა იმ პირთ, რომლებმაც თანაუგრძნეს ამ კეთილ საქმეს და დახმარება აღმოუჩინეს. განსაკუთრებით მადლობას ვუცხადებთ ბ-ნ ნიკო თაყაიშვილს და ადგილობრივ დრუჟინის კამანდირს პოლკოვნიკს სააკოვიჩს, პირველმა უფასოდ დაგვითმო თავისი ახალი სახლი და მეორემ სამხედრო მუსიკა.“

სადაც მცხოვრებთა უმეტესობას შეადგენენ უცხო ტომის ხალხნი და მწვალებელნი, სადაც სხვა-და-სხვა მოსაზრებით მომეტებულად გახსნილია საეკკლესიო-სამრევლო სკოლები (23 საეკკლესიო და 5 საერო), რომელთაც თვისი პროგრამმით და საზოგადო მიმართულებით ვერ დაიმსახურეს ხალხის ყურადღება,—ჩვენ გვეცოდინება ნამდვილი მიზეზი ამ გვარ პასუხებისა. ამისთანავე პასუხებია მიღებული სხვა ერობებშიაც.

ამ გვარად, ორი ფაქტი—შიმშილი ფიზიკური და შიმშილი სულიერი—ცნობილია საყოველთაოდ. ხალხის კეთილ-დღეობის აღსადგენათ საჭიროა დაუყოვნებლივ სათადარიგო ზომების მიღება, რათა უზრუნველყოფილ იქმნას ხალხის გამოკვების საქმე, ჰიგიენურ პირობების გაუმჯობესება და, მეორე მხრივ, მისი სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, სწავლა-ცოდნის გავრცელება სკოლების საშუალებით თუ სკოლის გარეშე ცოდნის გავრცელების ორგანიზაციით.

ეს ორი საზრუნავი საგანი მოითხოვს აუარებელს ხარჯს. თქმა არ უნდა, საჭირო საღსარი რომ მოიპოვებოდეს, ორივე ერთს დროს უნდა დაკმაყოფილდეს. მაგრამ, ამბობენ, ამისათვის ხაზინას ირ მოეპოვება საჭირო საღსარი. მიტოვება კიდევ ამ გვარ მდგომარეობისა არ შეიძლება—ადრე თუ გვიან უნდა დაკმაყოფილდეს ხალხის ბუნებრივი მოთხოვნიელება, თუ ორივე მხრივ არა, ერთ მხრივ მაინც. აქ იბადება კითხვა: ჯერ რომელი მხარე უნდა დაკმაყოფილდეს—ფიზიკური თუ სულიერი? პურია უფრო საჭირო თუ სკოლა? ჯერ კუჭი უნდა შეადგენდეს საზრუნველ საგანს და მერე გონება, თუ ჯერ გონება და მერე კუჭი?

ამ კითხვაზე ბევრისაგან მოსალოდნელია შემდეგი პასუხი: უპირველესად უნდა დაკმაყოფილდეს ხორციელი მოთხოვნილება; სკოლა და ბიბლიოთეკა ხელ-მოკლე ხალხისათვის მეტი ბარგია, მეტადრე როცა მას კუჭი ცალიერი აქვს. მშიერს ხალხს რა ესკოლება, რა ებიბლიოთეკება. როცა ხალხი გაძღება, წელში გამაგრდება, რიგიან სადგომს აიშენებს, ცხოვრებას პირობებს გაიუმჯობესებს, მაშინ თვითონ გახსნის სკოლას და ცოდნასაც შეიძენს. ეკონომიური სიმდიდრე წარმოშობავს სწავლის საჭიროებას და მის დასაკმაყოფილებელს საშუალებას. ნორმალური განვითარება მოითხოვს, რომ ხალხის ძალა მიმართული იყვეს ჯერ ქონებრივ სიმდიდრეზე, შემდეგ უმაღლესს კულტურაზე.

მაგრამ ამ გვარი აზრის ცალმხრივობა, ე. ი. ხორციელი საჭიროების უპირატესობა სულიერთან შედარებით ისტორიის მიერ დამტკიცებულია. როგორც კერძო პირი, აგრეთვე მთელი ერი ერთ მხრივ როდი ცხოვრობს,—პირ-იქით, განვითარების გზაზე მდგომი ერი მოითხოვს როგორც ხორციელს, აგრეთვე სულიერ მისწრაფებათა დაკმაყოფილებას თანასწორად, ჰარმონიულად.

ადამიანს ესაჭიროება ჭამა-სმა, მაგრამ ამასთან არა ნაკლებ ესაჭიროება ცოდნაც. მართალია, უჭმელ-უსმელი ადამიანი კვდება, უსკოლოდ ცოცხლობს, მაგრამ უცოდნოთ კი ვერ იცოცხლებს. მოუსპეთ ადამიანს საშუალება გარეგან შთაბეჭდილებათა მიღებისა, ნუ მისცემთ აზროვნებისათვის მასალას, დასტოვეთ უცოდინარი—ის ჭკუაზე შეიშლება, გასულელდება. სკოლა იგივეა გონებისათვის, რაც სამზარეულო კუჭისათვის. როგორც სამზარეულოში მზადდება კუჭის საკვები მასალა, აგრეთვე სკოლაში მზადდება მასალა გონებისა, აზროვნებისა, ცოდნისა.

მაგრამ ნუ ვიფიქრებთ, რომ მხოლოდ სკოლა იყვეს ადამიანისათვის ცოდნის შესაძენი დაწესებულება. წაართვით მას სკოლა,—იგი მიმართავს სხვა საშუალებას სულიერ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად; მას დარჩება ხატობა, მკითხავი, ობა, სამიკიტნო, სადაც ლოთობასთან ერთად იგი გაიგებს ხალხის გარდმოცემას, წარსულ თქმულებას, აწმყო მოვლენათა თავისებურ ახსნას, მომავლის იმედს. სკოლა არის მხოლოდ ერთი საუკეთესო დაწესებულება, საჭირო ცოდნის შესაძენად დაარსებული. მოუსპეთ ეს დაწესებულება, და იგი უფრო ხშირად მიმართავს ზემო ჩამოთვლილს ადგილებს, ვინაიდგან ცნობის მოყვარეობა ისეთივე ბუნებრივი მოთხოვნილებაა, როგორიც ჭამა-სმა. მაშასადამე, იმის თქმა, რომ ადამიანს უსკოლოდ შეუძლიან გაძლება, არაფერს არ ამტკიცებს. მოწინააღმდეგებმა დაამტკიცონ, რომ სულიერის მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლად ადამიანი არ გაველურდება, არ გასულელდება, არ შეიშლება,—მხოლოდ მაშინ ფიზიკურ მხარეს შეიძლება მიეცეს უპირატესობა წინაშე სულიერისა.

განათლება, როგორც სატეხნიკო-პროფესიონალური, აგრეთვე საზოგადო, თუნდა მცირედიც, შეადგენს ეკონომიურ ძალას, ხალხის კეთილდღეობის გაძლიერებისაკენ მიმართულს. ყოველ გვარ შრომის სინაყოფე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორის ცოდნით არის შეიარაღებული მისი მწარმო-

◆ გუშინ-წინ, 23 მაისს, გუმბრიდან ტფილისში ჩამოვიდა კავკასიის მე-39 ქვეითა დივიზიის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი გ. მ. დუბიცკი-ლიშინი და ჩამოხტა „ორიანტ“-ის სასტუმროში.

◆ ოთხშაბათს, 22 მაისს, პოლიციის მე-2 ნაწილში, უდელნი ქუჩაზე, ანნა დობროლეჟოვის ბინაზე უნახავთ მარჯვენა საფეთქელში მძიმედ დაჭრილი ნახიჩევანის მცხოვრები ქრისტეფორე ლაზარეს ძე კალაევი. გამოძიება სწარმოებს.

◆ ხუთშაბათს, 23 მაისისათვის დანიშნული სხდომა ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიისა, კომისიის წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, არ შესდგა.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინად ტფილისის ქალაქის საბჭოს სხდომაზე ხმოსანმა ბაღდასაროვმა აღძრა საკითხი ქალაქის გამგეობის ერთის მოხელის ბოროტ-მოქმედების შესახებ. საბჭომ ამ საქმის გამოძიება დაავალა ქალაქის გამგეობას. გამგეობის მინდობილებით, ქალაქის სამეურნეო-სავაჭრო პოლიციის უფროს ზედამხედველს ამ საქმის გამოძიება უკვე დაუმთავრებია და ამ დღეებში კიდეც წარუდგინა განსახილველად ქალაქის გამგეობას.

◆ 22 მაისს ამიერ კავკასიის სადგურ ბირგუშეთში სპარსელს ბაბა-აბდულ-თაგიურ-ოღლის მიმავალს საქონლის მატარებლის ვაგონზე შეხტომა უნდოდა, მაგრამ ფეხი დაუცდა და მატარებლის ქვეშ მოჰყვა, რომელმაც ორივე ფეხი მოჰკვეთა.

◆ 22 მაისს, პოლიციის მე-9 ნაწილის მოხელემ დააპატიმრა ილია ცაგარეიშვილი, რომელმაც რამდენიმე დღის წინად მძიმედ დასჭრა ერასტი გვანცელაძე.

◆ სადგურ კარაკლისიდან იტყობინებიან, რომ 22 მაისს 124 ვერსზე, საღამოთი, მიწის ზვავი ჩამოწვა, რის გამოც მატარებლების მოძრაობა შეჩერდა. 23 მაისს დილით გზა გაწმინდეს. და მატარებლებმა სიარული დაიწყეს. სწორედ მიწის ჩამოწოლის წინად ამ ადგილს უახლოვდებოდა სამუშაო მატარებელი, რომელიც რემონტის მუშამ ხოჩეაშვილმა თავის დროზე გააჩერა და ამით გადაარჩინა დიდს უბედურებას.

◆ სადგურ რიონიდან გვატყობინებენ, რომ 22 მაისს, მანევრების დროს, ლოკომოტივი დაეტაკა ახდილს ვაგონებს, რის გამოც ორი ვაგონი და ლოკომოტივი დაზიანდა. ხალხს უბედურება არ მოსვლია.

◆ 23 მაისს, ვიღაც ბოროტ-გამზრახველნი შეპარულან სულით ავადმყოფთა საქალაქო სამკურნალოს შენობის გამგის ივანე ხუცაიძის ბინაზე (ეჯუბოვის სახლში, კონდორის ქუჩაზე), გაუტეხიათ კამოდი, საიდანაც ამოუღიათ 300 მანეთამდე, და სადღაც მიმალულან. ქურდები ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

◆ პოლიციის მე-3 ნაწილში კადეტის კორპუსის ახლო, თამამშევის სახლის შესავალთან, პოლიციელმა 22 მაისს ნახა 2 კვირის დაბადებული მიგდებული ბავშვი მდედრობითი სქესისა. ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

ქუთაისის ახალი ამბები

∽ 19 მაისს აქ გვეწვია ტფილისის დრამატიული დასი და ვ. გუნიას გამგეობით გამართა ორი წარმოდგენა: პირველი 19 და მეორე 21 მაისს. ითამაშეს პირველად 4 მოქმედებიანი კომედია „ძალა ალმართსა ხნავს“, თარგმანი გუნიასი; მეორედ „მსხვერპლი მსხვერპლისათვის“, 3 მოქმედ. კომედია თარგ. ავ. ცაგარლისა და 1 მოქმ. ვოდევილი ვ. გუნიასი „ბედნიერი ცოლ-ქმარნი“. წარმოდგენებმა, როგორც პირველმა, აგრეთვე მეორემ მშვენიერად ჩაიარეს; ქ-ნ ნ. გაბუნია-ცაგარლის, ქ-ნ კარგარეთელის, ვ. გუნიას და სხვათა ხელოვნურ გრძნობით სავსე თამაშმა დამსწრენი ძალიან ასიამოვნა. სამწუხაროდ, საზოგადოება, როგორც პირველს, აგრეთვე მეორე წარმოდგენას ნაკლებად დაესწრო, თუმცა მეორე წარმოდგენაზე ალექსი მესხიშვილიც იღებდა მონაწილეობას და ფასებიც დაკლებული იყო.

დრამატიული დასი აქედან ბათუმს გაემგზავრა.

∽ ამას წინად გატყობინებდით, რომ ი. მეძმარიაშვილმა „ლონდონის“ სასტუმროში თავადი ლონგინოზ ნიჟარაძე დაჭრა. თავ. ნიჟარაძე უკვე გარდაიცვალა. იგი ახალ გაზდა კაცი იყო, 30—32 წლის; ბოლოს დროს მსახურებდა ბაქოში და ამ დღეებში ნათესავების სანახავად იმერეთში ჩამოსულიყო.

პრესსა

ჟურნალ „რუსკაია მისლ“-ის უკანასკნელ (მაისის) №-ში დაბეჭდილია საინტერესო წერილი შარშან გარდაცვალებულის რუსის ცნობილ მწერლის ივანოვიჩისა (ი. ი. სვედენცოვის) სათაურით „კავკასიის უბედურება“; ეს წერილი უნახავთ განსვენებულის ქაღალდებში. წერილი შეეხება კავკასიაში სწავლა-განათლების საქმეს და შეიცავს საყურადღებო სტატისტიკურ მასალასა და ავტორის საინტერესო მოსაზრებათ. წერილი დაუმთავრებელია და, როდესაც დასრულდება, ვეცდებით გავაცნოთ მკითხველთ.

⁂

„კავკ. ვესტნიკ“-ის უკანასკნელ №-ში შინაური მიმომხილველი ბ. ომ.—ი ყურადღებას აქცევს ამიერ-კავკასიის სოფლებიდან მოსულ ცუდ ამბებს მოსავლის შესახებ. ავტორს მოჰყავს საყურადღებო ცნობები, რომლებიდან სჩანს, რომ ჩვენს გლეხობას ცუდი გაზაფხული დადგომია წელს. გორის, თელავის, სიღნაღის, შემდეგ ქუთაისის და განჯის გუბერნიების ზოგიერთ მაზრებიდან მეტად უნუგეშო ამბები მოდისო, რომ მოსავალს ცუდი პირი უჩანს; მოსალოდნელია, ამიერ-კავკასიაში და ჩრდილოეთ კავკასიაშიაც წელს ხალხი დიდ გაჭირვებაში ჩავარდესო. ამიტომაა, სამართლიანად ამბობს ავტორი,

> საჭიროა საზოგადოებაც და ადმინისტრაციაც ფრთხილად იყვნენ. სოფლის გაჭირვებას დასაწყისშივე უნდა დაედოს მალამო; თორემ საქმე რომ გამწვავდება, დახმარება დაგვიანებული იქნება, რადგან მაშინ საკმარისი აღარ იქნება, რაც უნდა დიდი დახმარება აღმოუჩინონ დამშეულ ხალხს. ამის მაგალითი არა ერთხელ უნახავს ჩვენს საზოგადოებასა და მთავრობას და უნდა ვიფიქროთ, რომ მძიმე გაკვეთილებს უნაყოფოდ არ ჩაუვლიათ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სოფლის კეთილდღეობიდან დამოკიდებულია ბევრი მხარე ჩვენის ცხოვრებისა: სოფლის კეთილდღეობის დაქვეითებას თან ზდევს ვაჭრობა-მრეწველობის შეფერხება და სხვა საქმეთა შეჩერება. ამიტომ, ყველანი დაინტერესებულნი უნდა იყვნენ, სოფელს დროით და ენერგიულად მიეშველონ.

⁂

„პედაგოგ. ლისტოკ“-ის უკანასკნელ (მაისის) №-ში დაბეჭდილია ტულოპოვის წერილი იმის შესახებ, თუ რატომ ვრცელდება ასე სუსტად რუსეთში საქალაქო სასწავლებლების რიცხვი. ავტორის აზრით, თავი-დათავი მიზეზი ამისა ის არის, რომ ამ სასწავლებელთ აკლიათ საზოგადოებრივი კანტროლი.

> საქალაქო სასწავლებლები ნაკლებ ვრცელდება ჩვენში არა იმიტომ, რომ მათ ორგანიზაციაში რაიმე დიდი ნაკლი იყოს, არამედ იმიტომ, რომ მათი ყოფა-ცხოვრება სრულიად საზოგადოებრივ კანტროლს გარეშეა. ერობათ და საქალაქო მმართველობათ ნება აქვთ მხოლოდ ფული გადასდონ ამ სასწავლებლების შესანახად; მაგრამ ცოცხალსა და აქტიურს მონაწილეობას მათ სვე-ბედში არ იღებენ.

ავტორი შემდეგ დაწვრილებით იხილავს საქალაქო სასწავლებელთა წესდებას, სწავლის საქმის წესებსა და დასკვნის, რომ ამ სასწავლებელთა განვითარება-აღყვავებისათვის საჭიროა

> გადაიცეს ეს სასწავლებლები, მათი მართვა-გამგეობის საქმე საქალაქო მმართველობათა ხელში იმავე წეს-რიგით, როგორც პირველ-დაწყებით საქალაქო სასწავლებლებია. მაშინ ჩვენ მოვესწრებით საქალაქო სასწავლებელთა ისეთს გავრცელებას, როგორც საერობო სკოლებისას.

წერილი ოზურგეთიდან

ოზურგეთში 19 და 20 მაისს, ი. ა. ლაზარენკოს თავმჯდომარეობით, მოხდა გურიის ამხანაგობის „შუამავლის“ წევრთა კრება, რომელზედაც დადგენილ იქმნა: 1) გადაეცეს ახალ გამგეობას ამხანაგობის ყოველივე ქონება და ვალი; 2) მოეთხოვოს ძველ გამგეს ს. ჭეიშვილს 700 მ., რომელიც მან დახარჯა უცხოეთში წავსვლა-მოსვლაში ამხანაგობის სურვილის წინააღმდეგ; 3) ამხანაგობის თანხისა და ქონების გასაძლიერებლად მისცეს ახალს გამგეს დამსწრე წევრებმა პირობა, რომ თუ საჭირო იქმნა ამხანაგობის აპერაციისათვის და ვალის გასასტუმრებლად პაის ფულისა და ქონების გარდა კიდევ გადაიხდიან 3000 მან.; 4) ზედამხედველი კომიტეტის წევრებად არჩეულ იქმნა ლანჩხუთიდან მეაფთიაქე ნესტ. მხეიძე, ორ-კლასიან სკოლის გამგე კირ. წილოსანი და ბლაღ. ეპ. ჩხაიძე (კანდიდატად ბ. ჟორდანია); ოზურგეთიდან—მ. ა. თუმანიშვილი, ექიმი თიკანაძე და ქალაქის მოურავი ბ. ცეცხლაძე; ჩოხატაურის რაიონიდან—პროვიზორი ნიკო გეგელაშვილი. სულ 7 წევრი, რომელთაც უნდა აირჩიონ თავიანთ შორის თავმჯდომარე. ამხანაგობის ახალ გამგეობას ბატონთ ვაშალომიძეს, კანდელაკს და ფირმის გამგეს ი. ქუთათელაძეს ჩამოერთვათ ხელ-წერილი, რომ ზედამხედველი კომიტეტის დადგენილების და თანხმობის გარეშე მათ ნება არა აქვთ ნაწარმოების ყიდვა-გაყიდვისა. ასე რომ აბრეშუმის პარკის ყიდვა-გაყიდვა მოხდება იმ ფასებში, რა ფასებსაც ზედამხედველი კომიტეტი დაადგენს.

ამ ნაირად დაბოლოვდა ის არა სასურველი და დაუმთავრებელი შეტაკება, რომელიც სუფევდა ამ ბოლო დროს ამხანაგობის ძველ გამგეს—ს. ჭეიშვილისა—და წევრთა შორის. იმედი გვაქვს, რომ ახლად არჩეული გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი ყოველივე ღონის-ძიებას იხმარებენ, რამე ფერად ამხანაგობის წაბორძიკებული საქმეები გამოაკეთონ და ჯეროვანად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა. რაც შეეხება ამხანაგობის წევრებს, ისინი მოვალენი არიან დახმარება გაუწიონ მათ მიერ არჩეულ პირებს კრედიტის მოპოვების საქმეში, ვექსილების გაცემით, თუ სხვა რამე საშუალებით, თორემ ცალ-მხრივობითა და კინკლაობით ამხანაგობა ფონს ვერ გავა.

წარსული წლის ჭირნახულის მოუსავლობის გამო მცხოვრებლებს სახელმწიფო გადასახადის უმეტესი ნაწილი არ შეუტანიათ ხაზინაში და ამ ჟამად ძლიერ გაჭირვებაში არიან ჩავარდნილი, რადგანაც ადმინისტრაცია მალე თხოულობს „ნედოიმკების“ შევსებას. როგორც მკითხველმა უწყის, გურიაში უმთავრესი წყარო ფულის შემოსავლისა სიმინდია, რომელიც ცუდი ამინდების გამო საუთოვიც არ მოსვლიათ მცხოვრებლებს, თორემ გასასყიდი საიდან ექნებათ. ბევრ სოფლებს ეშინიათ კიდეც, რომ სიმშილობა არ გაჩნდეს და თითქმის სიმინდს სათესურათაც ვერ შოულობენ. ერთად-ერთი იმედი ადგილობრივ მკვიდრთა დამყარებულია მეაბრეშუმეობის ნაწარმოებზე, რომლიდანაც ყოველ წლივ რჩებათ მათ 180,—200,000 მანეთამდე შემოსავალი. ეს თანხა მითია საყურადღებო, რომ იგი ნაწილდება წვრილ მწარმოებელთა შორის, რომელთაც საშუალება ეძლევათ დაიკმაყოფილონ აუცილებელი სოფლის სხვა-და-სხვა მოთხოვნილებანი. წელს ჯერ-ჯერობით აქეთკენ აბრეშუმის მოსავალს შედარებით წარსულ წლებთან კარგი პირი უჩანს, თუმცა, ცოტა არ იყოს, აპრილის და მაისის სიცივეებმა ჭიების გამოკვებას ავნო. ბჟოლის ხეებიც დააზიანა სიცივეებმა, ასე რომ ფურცლის მოსავალი წელს გაცილებით ნაკლებია, ვიდრე შარშან. ამ ჟამად უმეტესი ნაწილი ჭიებისა 3—4 კანში იმყოფება და ჯერ-ჯერობით გადამდებ სენს ეპიდემიური ხასიათი არსად არ მიუღია.

უცხოეთის წვრილი ამბები

მეფის გამასპინძლება. ლონდონიდან იუწყებიან, რომ ამ ჟამად იქ იმის მზადებაში არიან, როგორ გაუმასპინძლდენ მეფის 500,000 სტუმარს, რომელთაც პატივი უნდა სცენ მეფე ედუარდ მეშვიდის გვირგვინის კურთხევის გამო.

გვირგვინის კურთხევის დღეს სტუმრებს (დაბალ ხალხს) მიართმევენ ცივად ხორცს (ხაშლამას), ცხელ კართოფილს, პურს და ტკბილეულს. სასმელების სიაში მოხსენებულია ჩაი, ყავა, ლუდი და სოდის წყალი.

გარდა 300,000 მანეთისა, რომელიც მეფემ გადასდო ხალხის გასამასპინძებლად, მეფისავე ბრძანებით შეუკვეთეს 500,000 სადღესასწაულო დოსტაქანი, რომლებსაც დაურიგებენ ხალხს სადილს შემდეგ გვირგვინის კურთხევის მოსაგონებლად.

როგორცა სჩანს, გამასპინძლების ხარჯი გადააჭარბებს გადადებულ ფულს, რომელიც მეფემ დაამტკიცა და უფრო გულ უხვი დახვედრა იქნება, რადგანაც ხალხის გამასპინძლებისათვის ამ დღესასწაულის გამო უხვი შემოწირულებანი შემოაქვთ ძირითად თანხაში ფულით და სურსათით.

ებელი. ეს უტყუარის ციფირებით დამტკიცებულია ქარხნების მუშებზე. სხვა-და-სხვა ქარხნის უფროსებს შეეკითხნენ იმაზე, თუ რა გავლენა აქვს მუშის განათლებას მისს ნამუშევარზე, და ყველასაგან, განურჩევლად ტომისა, მრეწველობის სხვა-და-სხვაობისა, ერთ გვარი პასუხი მოვიდა: მუშის განათლებას, თუნდ იგი არ აღემატებოდეს პირველ დაწყებითი სკოლის პროგრამმას, კეთილი შედეგი აქვს მისს ნამუშევარზე როგორც სიავ-კარგისა, აგრეთვე რაოდენობის მხრივ. ერთს ჩითეულობის ქარხანაში წერა-კითხვის მცოდნე ქალთა ნაწარმოები 20% აღემატება უსწავლელთა ნაწარმოებზე. ეს განსხვავება იმდენად უფრო იზრდება, რამდენად ფართოა მუშის განათლება. მინის ქარხანაში უმაღლესის ხარისხის მინის საწარმოებლად ყოველ 100 მუშაში ამოირჩა 25 იმათგანი, ვისაც პირველ-დაწყებითი სკოლა გაეთავებინა, და მხოლოდ 5, ვისაც სკოლაში სულ არ ესწავლა.

გარდა შრომის ნაყოფიერებისა, მუშის განათლებას სხვა კეთილი შედეგიც მოსდევს: მცოდნე მუშა ნაკლებ ზედამხედველობას მოითხოვს, უფრო მიხვედრილია, რიგიანად ეკიდება მანქანებს, ამიტომაც იგი 20-30% ძვირად ფასობს უსწავლელ მუშაზე.

რაც ითქვა ქარხნის მუშაზე, იგივე უმეტნაკლებოდ ითქმის ყოველ-გვარ მწარმოებელზე. სულ ერთია—ქალაქისა იყოს იგი, თუ სოფლისა, რადგან ყოველ-გვარი წარმოება თხოულობს ცოდნას, ხერხს, მოსაზრებას.

მაგალითად, თუ არ ცოდნით, რითი, აიხსნება ის, რომ ორი ინგლისელი მუშა დღეში იმდენსავე მოსცელენ, რამდენსაც 6 რუსის მუშა, ერთსა და იმავე პირობებში მყოფნი. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ცხოვრება უფრო იაფია ინგლისთან შედარებით, ინგლისელ მებატონეს სამუშაო ნაკლები უჯდება, ვიდრე რუსეთის მებატონეს.

ყოველ-გვარ სკოლას დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს საზოგადოთ ხალხის ცხოვრებაზე და კერძოდ მისს ეკონომიურ განვითარებაზე. „ნუ დაივიწყებთ, ამბობს პროფესორი ჩუპროვი, რომ ერთად-ერთი საშუალება სიღარიბესთან საბრძოლველად არის წარმოების განვითარება, რასაც ემსახურება ცოდნა და განათლება“. იგივე აზრი გამოსთქვა აკადემიკოსმა იანჟულმა: „რუსეთი რომ განათლდება, გამდიდრდება კიდეც“ *).

მოყვანილ ცნობებიდან ნათლად მტკიცდება, რომ ხალხის კეთილდღეობა და მისი განათლება ისე მჭიდროდ არიან ერთმანეთზე დაკავშირებულნი, რომ მათი გაცალკევება ყოვლად შეუძლებელია: ერთს მეორეზე დიდი გავლენა აქვს, ერთი მეორის შედეგია. ამიტომ უადგილო უნდა იყოს იმის კითხვა: „პური თუ სკოლა?“. ხალხს უნდა მიეცეს ერთიცა და მეორეც.

მაგრამ საიდან გამოიძებნოს საჭირო სალსარი ხალხის ამ ორივე მხრის დასაკმაყოფილებლად. ამაზე ავტორი მოკლედ იძლევა პასუხს. რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტი დიდია: 1902 წელს იგი უდრის თითქმის 1947 მილიონ მანათს; აქედან ხალხის განათლების საჭიროებაზე იხარჯება 36 მილ.

ზემო მოყვანილ ჯამიდან მცირე ნაწილი იხარჯება დაბალ ხალხის განათლებაზე, მეტი ხარჯი უნდება საშუალო და უმაღლესს განათლებას. მაგალითად, 1896 წელს განათლების საქმეზე დაიხარჯა სულ 25 მილ. მანათი, აქედან სახელმწიფო ხარჯი იყო 3 მილ., დანარჩენი 22 მილ. ეკუთნოდა ერობას, საზოგადოებას და კერძო პირებს. 1900 წელს სახელმწიფო ხარჯმა იმატა $7\frac{1}{2}$ მილ. მანათამდე სამინისტრო სკოლებზე და ამდენივე სამრევლო—საეკლესიოზე, ე. ი. სულ შეადგენდა 15 მილ. მანათს. აბა, რა სათქმელია 15 მილ. ორ მილიარდ სახელმწიფო ბიუჯეტში!

ფინანსთა მინისტრის ოფიციალური ორგანო სწერს: სახელმწიფო ინტერესი თხოულობს ხალხის განათლებაზე ზრუნვას, ვინაიდან განათლება არის უდიდესი ძალა, რომელიც წარმოშობავს ხალხის კეთილ-დღეობას და შინაურ ძლიერებას და ანიჭებს გარეშე გამარჯვებას ხალხთა შორის ატეხილ კულტურულ ბრძოლაში. ამ ბრძოლაში გაუნათლებელი განათლებულს ვერ გაუწევს მეტოქეობას. აწინდელ დროში ყველას მოეთხოვება განათლება,—როგორც მოვაჭრეს, ისე ჯარის კაცს და შინაურ მრეწველს. ეს საანბანო ჭეშმარიტება ყველა ერმა უნდა შეითვისოს, შეისისხლ-ხორციანოს, თუ არ უნდა, რომ დედა-მიწის ზურგიდან სამუდამოდ აღმოიფხვრას.

ე. ხრამელი.

---

*) ეს ცნობები ავტორს მოჰყავს მშვენიერ ბროშიურიდან: Экономическая оцѣнка народнаго образованія. Очерки Янжула, Чупрова. Спб. 1896 г.

ასე, მაგალითად, ლიპტონმა იკისრა (მეჩაიე რასაკვირველია) მიართვას ხალხს ჩაი, ყავა და შაქარი; ბასმა შესწირა ოცდა ოთხი „ვედრო" ლუდი, საიმპერატორო თამბაქოს კამპანიამ შესწირა მეფის სტუმრებისთვის გირვანქის მერვედი თამბაქო კაცის თავზე, ხოლო როვენტრის შოკოლადის ფაბრიკამ სადილის შემდეგ ყოველ დამსწრეს უნდა დაურიგოს თითო კოლოფი კამფეტი. გარდა ამისა, ორი საყასბო ფირმა ლონდონისა კისრულობს გვირგვინის კურთხევის დღესასწაულის გამო სტუმრების გასამასპინძლებლად დაამზადონ უფასოდ ასი ათასი გირვანქა ხორცი,

გვირგვინის კურთხევის დღესასწაულები მარტო ლონდონში კი არ იქნება, მთელს ინგლისში.

წვეულობის დროს მეფე და დედოფალი დაათვალიერებენ თავიანთ სტუმრებს ლონდონის რამდენიმე უბანში.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 მაისი

პეტერბურგი. 21 მაისს გატჩინოში წავიდნენ კურს დამთავრებული ქალები, რომელთაც ჯილდოდ მიიღეს შიფრები, ოქროს და ვერცხლის მედლები—64 შეგირდი ინსტიტუტისა და 98 შეგირდი გიმნაზიებისა; გატჩინოს სასახლეში დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა თავის ხელით დაურიგა კურს დამთავრებულ ქალებს შიფრები და მედლები, გარდა ამისა ყველამ მიიღო დედოფლის სურათი.

კალიში. გაიხსნა სამხატვრო უფასო კურსები ხელოსნებისთვის, ვაჭრობისა და მრეწველობის წამქეზებელ საზოგადოების მეცადინეობით.

მოსკოვი. დღეს სადგურ კუსკოვოზე საქონლის მატარებელს დაეტაკა ორი ლოკომოტივი. სამი ვაგონი დაიმტვრა, ორივე ლოკომოტივი დაზიანდა; ერთი უბილეთო მგზავრი ქალია მოკლული და ორი მგზავრიც დაშავებული.

ლონდონი. ხაზინის კანცლერმა უარჰყო ნანეტის რჩევა, პურის მაგივრად სხვა მოტანილ საქონელს დაადოს ბაჟი.

უტრეხტი. კრიუგერისას თათბირი ჰქონდათ ბურების დელეგატებს, შემდეგ დელეგატებმა ლეიდსთან ერთად სხვა კრება მოახდინეს. არავერ ცნობებს არ იძლევიან.

პეკინი. გუშინ ცეცხლი გაუჩნდა საფრანგეთის ყაზარმებს და დღეს კიდევ ავსტრიისას, ზარალი დიდი არ ყოფილა. ეჭვი აქვთ, რომ განგებ წაუკიდეს ცეცხლი.

ვაშინგტონი. სამიწადმოქმედო განყოფილება იუწყება ბამბის მდგომარეობაზე; მიწა სამჯერ ნაკლები შეამუშავეს, ვიდრე შარშან.

ლონდონი. პრეტორიიდან მოსულის ცნობებით, ინგლისის უკანასკნელმა წინადადებამ დიდი კამათი გამოიწვია იმის წინ, ვიდრე სამშვიდობო პირობებს მიიღებდენ.

პრეტორია. 17 მაისს ინგლისის პირობების მიღების მომხრე იყო 54 ბური, წინააღმდეგი—6.

სევასტოპოლი. წვიმებმა მოსავალს არგეს. ბალახი და პური რიგიანია.

სარატოვი. საგუბერნიო ერობამ იყიდა ხვალინსკის მაზრაში სახელმწიფო ტყე, რომ ნისიათ მიჰყიდონ ადგილობრივ ტყის მწარმოებელთ.—ატკარის ერობას უარი ეთქვა 75,000 მან. სესხისა სახელმწიფო ბანკიდან.—31 მაისს მოწვეულია საგუბერნიო ერობის საგანგებო კრება, რომელზედაც განიხილავენ მაზრების ერობათა შუამდგომლობას და აგრეთვე შეიმუშავებენ ზომებს ციმბირის ჭირის მოსასპობლად.

კიევი. საბჭომ დაადგინა სთხოვოს ფინანსთა მინისტრს ნება მისცეს ქალაქის წარმომადგენელთ დაესწრონ რკინის გზის საბჭოში, რათა განიხილონ კითხვა რკინის გზის გაგრძელების შესახებ—პეტერბურგ-ჟლობინისა კიევისკენ, აგრეთვე იშუამდგომლონ, რომ კიევი შეუერთონ მოსკოვ-ჩერკასის პირდაპირს მთავარ გზას.

ტიანძინი. გუშინ პეკინში წავიდა დიდი მთავარი კირილე ვლადიმირის ძე.

პეტერბურგი. დღეს წითელი ჯვრის კონფერენციის უკანასკნელი სხდომა იყო. საღამოს დელეგატები მოსკოვში გაემგზავრნენ.

23 მაისი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ნება დართო შემოწირულებათა მოკრებისა ქალაქ ბობრუისკის ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ლონდონი. კიტჩენერს ვიკონტის ტიტული ებოძა.

პარიზი. ბურჟუამ და ბრისონმა უარი განაცხადეს კაბინეტის შედგენაზე, რომელიც მათ ლუბემ დაავალა; ფიქრობენ, რომ ლუბე სენატორს კომბს მიმართავს.

ლონდონი. ლორდთა პალატა. ხაზინის კანცლერმა განაცხადა, რომ იმას აზრადა აქვს, ძალაში დასტოვოს ამ წელიწადში ორი ახლად შემოღებული გადასახადი. ბალფურმა აუწყა მეფის ეპისტოლე, რომელშიაც ნაბძანებია კიტჩენერს დაენიშნოს 500,000 მანეთი თვალსაჩინო სამსახურისთვის.

ლონდონი. ამსტერდამიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ინგლისის ელჩი ბერნში გრიმი და ლორდ რეი ჰააგაში მოვიდნენ; ამსტერდამში ფიქრობენ, რომ ისინი მინისტრ კაიპერთან ერთად აცნობებენ პრეზიდენტ კრიუგერს მშვიდობიანობაზე და წინადადებას მისცემენ, დაბრუნდეს სამხრეთ-აფრიკაში, მხოლოდ იმ პირობით, რომ თავის მამულში დასახლდეს რუსტენბურგის ახლო. კიტჩენერი რამდენიმე კვირაზე ადრე და იქნება თვეებისაც არ დაბრუნდეს სამშობლოში. კიტჩენერმა მიმართა ბურების სარდლებს პრეტორიაში სიტყვით, რომელშიაც გამოსთქვა, რომ ის რომ იმათ რიცხვში ყოფილიყო, იმით იამაყებდა, რომ ამდენს საწადელს მიაღწიეს.—ლუიბოტამ პროკლამაცია გამოსცა, რომლითაც ისა სთხოვს ბურგერებს, გულწრფელად დაემორჩილონ ახალს მთავრობას.—ბრიუსელიდან მოსულის ცნობებით, ბურთა რესპუბლიკების ელჩი ლეიდსი ევროპაში დარჩება, როგორც კერძო პირი.

მოსკოვი. ოლქის სასამართლოს განაჩენით ივსიანიკოვის ცოლის ათი მილიონის მემკვიდრეობა გაანაწილეს; მემკვიდრის ქმარი მიიღებს თავის წილს, ნათესავები დედის მხრივ ძმანი ზალივსკები—დედის სამზითვო ქონებას და ხრამოვები და სვეშნიკოვები დანარჩენს შუა გაიყოფენ.

მინსკი. მოსავალი რიგიანია.

როგაჩევი. როგაჩევში, მინსკის გუბერნიაში, ცეცხლმა შთანთქა ყველა სავაჭრო დუქნები და ხუთასამდის შენობა; საჭიროა მალე დახმარება.

სოფია. როგორც ხმა ისმის, მინისტრ-პრეზიდენტმა უარი განაცხადა მთავრის წინადადებით, პეტერბურგში წასვლაზე, რომ საქმეები არ დაბანდდეს სახალხო კრების სხდომაზე.

პეტერბურგი. საკავალერიო დივიზიის მეორე ბრიგადის უფროსი გენერალ-მაიორი თავადი ჭავჭავაძე დაინიშნა კავკასიის საკავალერიო დივიზიის უფროსად.

ბიისკი. ჩვენს ქალაქში მოვიდა წითელი ჯვრის წარმომადგენელი დმიტრენკო, რათა ადგილობრივ გამოიკვლიოს, რა გვარ დახმარებას საჭიროებს ხალხი.

ლონდონი. სააგენტომ შეიტყო, რომ გრინის და ლორდ რეის ჰააგაში გაგზავნის ამბავი ყოველ საფუძველს მოკლებულია. ბურების დელეგატებს ევროპაში ინგლისი არაფრად არ აგდებს; რომ დაბრუნდენ სამხრეთ-აფრიკაში, იმათ ფორმალურად უნდა ითხოვონ ნებართვა.

პრეტორია. კაპის ახალშენის მდგომარეობა სანუგეშოა; ფუშე დანებდა; ყოველდღე ბევრი მეომარი იარაღსა ჰყრის.

ბრიუსელი. უტრეხტიდან იტყობინებიან, რომ კრიუგერი შეუძლოდ არის და ლოგინში წევს.

ლონდონი. პრეტორიიდან იტყობინებიან, რომ ვერეინიგინგში ბურებმა აღიარეს თავის დამარცხება განსაკუთრებულს რეზოლუციაში. ხელმოსაწერ აქტში, რომელიც ბურების დელეგატებს წარუდგინეს, გამოცხადებულია უპირველესად, რომ ბურებმა უარჰყვეს დამოუკიდებლობა ინგლისის მთავრობის ძალდატანებით, რომელსაც აღარა სურს განაგრძოს მოლაპარაკება და მხოლოდ პირობებს ეუბნება იმ დანაკარგის მოსაზრებით, რომელიც ბურებს და ინგლისელებს მოუვიდათ, და აგრეთვე იმ მიზეზის გამო, რომ სხვაფრივ არ შეიძლება ტყვეთ დაბრუნება და ბოლოს ისიც, რომ შემდეგში ბურებმა დაიცვან თავის ერის არსებობა.

ლონდონი. ჰონკონგიდან ამბავი მოვიდა, რომ კუანგსიში მცხოვრები მისიონერი არღვევს იმ ამბავს, ვითომც ამბოხება მოხდა; მცხოვრებნი ავაზაკთა ბრბოებს შიშ ქვეშა ჰყავთ; ის ხმები, რომ ქალაქს დაეცნენ, ტყუილია.

სოსნოვიცი. ინჟენერი ბოკალსკი, ქვა-ნახშირის მადნების „კაზიმირ პირველის" გამგე, დღეს რევოლვერით მოჰკლეს. ბოროტ-მოქმედი მიიმალა.

მოსკოვი. დღეს მოვიდნენ წითელი ჯვრის კონფერენციის წევრები და მოსკოვის შესანიშნავი ადგილები დაათვალიერეს.

ჰააგა. ის ამბავი, ვითომ კრიუგერი ავად გახდა, ტყუილია; პრეზიდენტი კარგად არის.

ლონდონი. როდესაც სესხის კანონ-პროექტს იხილავდნენ, ხაზინის კანცლერმა განაცხადა, რომ თუმცა ნაადრევია გარნიზონების რიცხვზე ვიფიქროთ სამხრეთ-აფრიკაში, მაგრამ, მეგობრული დამოკიდებულების გამო, რომელიც ბურებმა გამოიჩინეს, იმას იმედი აქვს, რომ დიდი გარნიზონების დატოვება იქ საჭირო არ იქნება.

მოსკოვი. დღეს როსტოვში გაემგზავრა სასულიერო დღესასწაულზე დასასწრებლად მოსკოვის მედროშეთა დეპუტაცია.

პეტერბურგი. დღეს მათი უდიდებულესობანი ხელმწიფე-იმპერატორი და დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული შვილებით ცარსკოე სელოდან საზაფხულო სადგომ ალექსანდრიაში გადავიდნენ პეტერგოფში. ამავე მატარებლით მოვიდა პეტერგოფში ხელმწიფე მემკვიდრე.

24 მაისი

პარიზი. პრეზიდენტმა ლუბემ სამინისტროს შედგენა კომბს დაავალა. კომბი დასთანხმდა.

ლონდონი. მეფის გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებლად მოწვეულნი არიან წარმომადგენელნი იმ უცხოელ პოლკებისა, რომელთა შეფათ არის მეფე.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. ბალფურს შემოაქვს წინადადება, რომ კიტჩენერს მიეცეს 50,000 გირვანქა სტერლინგი. რედმონდი წინააღმდეგია ამ წინადადებისა და ამბობს, რომ კიტჩენერი ქალებს და ბავშვებს ეომებოდა. ასტყდა დიდი ხმაურობა. ბოლოს პალატამ მიიღო ბალფურის წინადადება 380 ხმით წინააღმდეგ 4-სა (?). შემდეგ პალატამ მიიღო რეზოლუცია 382 ხმით წინააღმდეგ 42, რომლით მადლობა უნდა გამოეცხადოს ოფიცრებს და ჯარებს. ლორდთა პალატამაც მიიღო ორივე წინადადება.

მარიენბურგი. (დასავლეთი პრუსია) დღეს აქ აკურთხეს ახლად აგებული სახლი ტევტონის ორდენის გროსმეისტრისა. იმპერატორმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც სხვათა შორის აღნიშნა: „თავ-გასულ პოლონელთ სწადიათ შეეხონ გერმანიის ერთიანობას და მე იძულებული ვარ მივმართო ხალხს მოწოდებით დაიცვას თავისი ეროვნული კეთილ დღეობა".

მოსკოვი. დღეს სასამართლომ დაასრულა ხუხრიკოვის ქალის საქმე. ხუხრიკოვისას ჰბრალდებოდა თავის საყვარლის ტიხონოვის ცოლის მოწამვლა; ტიხონოვს დაჰბრალდა ბოროტმოქმედებაზე წაქეზება გლეხის ქალის მუხინისა, რომელმაც ხუხრიკოვის მცირე წლოვანს შვილს აყიდვინა საწამლავი და ტიხონოვის ცოლს დაალევინა. პირველის განაჩენით სასამართლომ გადაუწყვიტა: ტიხონოვს და მუხინისას 12 და 10 წლის კატორგა. ხუხრიკოვები დედა და შვილი გაამართლა. მეორე განაჩენით სასამართლომ გაამართლა მხოლოდ ხუხრიკოვის შვილი დანარჩენებს კატორგა მიუსაჯა; ტიხონოვს 15 წლით, ხუხრიკოვს და მუხინისას ათ-ათი წლით.

ბაქო. საქართველოს ეგზარხოსის დასწრებით იდღესასწაულეს „კირილე-მეთოდის" ძმობის 50 წლის არსებობის დღე.

ბაქოზე გაიარა პრინცმა დოვლემ, შაჰის ბიძაშვილმა, რომელიც მიდის ლონდონში მეფის გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებლად.

ბაქო. გუშინ საოლქო სასამართლოში დაიწყეს გარჩევა კასპიის-ჩერნომორიის სანავთე საზოგადოების გამგის ფეიგელისა და იმავე საზოგადოების ქარხნების უფროსის გუხმანის საქმისა მათ ჰბრალდებათ, რომ დროზე არ მიიღეს ზომები უბედურების ასაცდენად, შარშან იანვარში მომხდარ ცეცხლის დროს.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა ორი თვით შეჩერებულ იქმნას გაზეთ „იუჟნი კურიერი"-ს გამოცემა.

23 მაისს პეტერგოფში ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა ცხენოსან გრენადერთა და მის უდიდებულესობის ალექსანდრა თეოდორეს ასულის ულანთა პოლკი.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

„იუჟნიე ნომერა"
(ბარონის ქუჩაზე, მანთაშევის სახლში)

სრულიად ახლად გადაკეთებულია, ქალაქის შუაგულში, ფოსტა-ტელეგრაფის ახლო. ნომრები 60 კაპ. დაწყებული; თვიურად—15 მან. და მეტი. სისუფთავე და კარგი წეს-რიგი. (6—1)

გუსტავ გაბრიელის ძე მალევსკი თავის
წასვლისა გამო ქუთაისიდან
მლიერ იაფ და ხელ-მისაწდომ ფასად
ჰყიდის ნაკვეთ მიწებს

ქალაქ ბათუმში—440 ოთხკუთ. საჟ.—100 საჟენის მანძილზე რკინის გზის სადგურიდან და ქალაქ ფოთში მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე; მე-15-ტე კვარტალში № 131—520 ოთხ-კუთ. საჟენი მე-17-ტე კვარტალში № 161—325 ოთხ. საჟენი და 162—520 საჟ.; მე-74-ე კვარტალში №№ 706 და 708—1100 საჟ. და სააგარაკო ადგილს ზღვის ნაპირას 12,000 ოთხ კუთ. საჟენზე მეტი.

დაწვრილებით ყველაფრის გაგება შეიძლება თვით მალევსკისთან ქ. ქუთაისში ან ნაფიც ვექილ რ. მ. იურკევიჩთან ბათუმში, და ი. ზ. ბერძენიშვილთან ქ. ფოთში.
(5—320—4)

მუზეი

დაჰყოფს კიდევ 27 მაისამდის, ახლად განახლებული სურათებია და **კატასტროფა შემახაში**; ჰაერში მფრინავი ქალი და კინემატოგრაფი.
(5—318—3) პატივისცემით ფ. ი. **ფიც.**

Вышла майская (пятая) книга
ЕЖЕМѢСЯЧНАГО ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКАГО ИЗДАНІЯ
РУССКАЯ МЫСЛЬ

СОДЕРЖАНІЕ: 1) Темный блескъ. Романъ В. Я. Свѣтлова. (окончаніе) 2) Братишка. Романъ изъ семейной жизни. Густава Гейерстама. Пер. съ шведскаго А. и П. Ганзенъ. 3) Писатель.—Ольги Лисогорской. 4) Спрутъ. Калифорнскій романъ Франка Норриса. Пер. съ англ.—А. Г. (продолженіе). 5) Стихотворенія. Н. П. Огорева. Изъ ставыхъ тедрадей. 6) Сватовство. Разсказъ.—А. И. Новикова. 7) Задачи гигіены въ сельской Россіи.—М. Я. Капустина. 8) Опытъ психологической характеристики политической жизни Англіи.—С. А. Котляревскаго. 9) Упадокъ народн. хозяйства въ киргизскихъ степяхъ.—И. В. Аничкова. 10) Условія введенія всеобщаго обученія въ Московской губерніи.—Н. Бычкова. 11) Современные французскіе дѣятели. II Вальдекъ-Руссо.—У. Г. Инсарова. 12) Жизнь въ произведеніяхъ Гюго.—Гуго Фонъ-Гофмансталя.—А. Ч. 13) Несчастіе Кавказа.—Ивановича (И. И. Свѣденцова). 14) Фабрика и фабричный рабочій.—Алексѣя Смирнова. 15) Комедіи Н. В. Гоголя и ихъ исполнители на сценѣ малаго театра въ Москвѣ.—В. М. Михайловскаго. 16) Со стороны. (писма изъ деревни)—Ветелиса. 17) Объ упадкѣ земледѣлія и его нуждахъ.—А. В. Еропкина. 18) Къ вопросу о черноморскихъ желѣзныхъ дорогахъ.—В. А. Гельцева. 19) О послѣднихъ годахъ жизни Н. П. Огорева —Е. С. Некрасовой. 20) Внутреннее обозѣніе. 21) Иностранное обозрѣніе.—В. А. Г. 22) Библіографическій отдѣлъ. 23) Объявленія.

Продолжается подписка на 1902 г.

Подп. цѣна съ доставкою и пересылкою во всѣ мѣста Россіи: на годъ 12 р., 9 мѣс.—9 р. 6 мѣс.—6 р., 1 м.—1 р. За границу на годъ—14 р., 9 м.—10 р. 50 к., 6 м.—7 р., 1 мѣс. —1 р. 25 коп.

Допускается разсрочка: при подпискѣ, 1 апрѣля, 1 іюля, 1 октября по 3 рубля—при непосредственномъ обращеніи въ контору или ея отдѣленія.

Цѣна отдѣльнаго номера съ пересылкой 1 руб. 30 коп. Книгопродавцамъ дѣлается уступка въ размѣрѣ 50 коп. съ полнаго годоваго экземпляра. Подписка въ разсрочку отъ книгопродавцевъ не принимается.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:

ВЪ МОСКВѢ: въ конторѣ журнала—Ваганьковскій пер., д. Аплаксиной. ВЪ ПЕТЕРБУРГѢ: въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова, ВЪ КІЕВѢ: въ книжномъ магазинѣ Н. Я. Оглоблина, ВЪ ВАРШАВѢ: въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова. ВЪ ВИЛЬНѢ: въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова. ВЪ ПЕРМИ: въ земскомъ центральномъ книжномъ складѣ.

При к—рѣ редакціи журнала «Русская Мысль" находится складъ изданій.
(ვ. 1—1) Редакторъ-Издатель В. М. Лавровъ.

Дозволено цензурою Тифлисъ, 24 Мая 1902 года.

ელექტრონით მოძრავი სტ. წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობის